

რეკომენდაციები ღია მმართველობის პარტნიორობისთვის საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმასთან (2014-2015) დაკავშირებით

მაისი, 2014 წელი

ვალდებულება 1: საქართველოს მთავრობა შექმნის ონლაინ პეტიციებისა და საჯარო კონსულტაციების პლატფორმას

2012 წლის აპრილის თვეში გამოაქვეყნდა „პარტნიორობა ღია მმართველობისთვის“ საქართველოს მთავრობის პირველი სამოქმედო გეგმა, რომლის განხილვაც აქტიურად მიმდინარეობდა საქართველოს სამოქალაქო სექტორთან ერთად. აღსანიშნავია, რომ კონსულტაციების პროცესში ხელისუფლებამ გაითვალისწინა IDFI-ის მიერ შეთავაზებული წინადადება საზოგადოებრივი ჩართულობის ღია პლატფორმის (www.ichange.ge) შექმნასთან დაკავშირებით.

სამწუხაროდ აღნიშნული ვალდებულების განხორციელება ვერ მოხერხდა რიგი ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, თუმცა ჩვენ ვფიქრობთ, რომ პლატფორმის შექმნა ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, მთავრობა შექმნის გარემოს, სადაც მოქალაქეები ჩართულნი იქნებიან ხელისუფლების საქმიანობაში და ექნებათ ხმის უფლება გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ელ-პეტიციების გამოყენებით შესაძლებელი იქნება ნებისმიერი მსურველის მიერ ელექტრონული პეტიციის ინიცირება. შინაარსობრივად, მოქალაქეების მიერ ინიცირებული წინადადებები უნდა ეხებოდეს საქართველოს მთავრობის, როგორც კოლეგიური ორგანოს, კომპეტენციაში შემავალ საკითხებს, რადგან მათზე რეაგირება სწორედ მთავრობის პრეროგატივა იქნება. შესაბამისი რაოდენობის ელექტრონული ხელმოწერების შეგროვების შემთხვევაში (მაგ. 10 000 ხელმოწერა) საზოგადოების მიერ დაყენებული საკითხი განიხილება მთავრობის სხდომაზე, ხოლო ოფიციალური პასუხი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდება პეტიციების გვერდზე.

პლატფორმის მეორე კომპონენტი ელექტრონული საჯარო კონსულტაციები იქნება. ამ განყოფილებაში მთავრობა (შემდგომში შესაძლებელია სამინისტრო ან სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებებიც) გამოაცხადებს საჯარო კონსულტაციას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და მოუწოდებს მოქალაქეებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს ჩაერთონ აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით პოლიტიკის შემუშავებაში.

პასუხისმგებელი უწყება: *საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია*

განხორციელების ვადა: *2014 წელი*

ვალდებულება 1: ელ-ჩართულობის პლატფორმის შექმნა		
წამყვანი დაწესებულება		საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	მხარდამჭერი: USAID / IDFI
არსებული მდგომარეობა და		საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პასუხისმგებელმა

პრობლემის აღწერა	პირებმა უკვე განაცხადეს თანხმობა ჩართულობის პლატფორმის დანერგვასთან დაკავშირებით. IDFI-ის მიერ შემუშავებული კონცეფცია, რომელიც წარედგინა განხილვისთვის საქართველოს მთავრობას მოიცავდა 3 დონიანი ჩართულობის პლატფორმის შემუშავებას (პეტიციები - საჯარო კონსულტაციები - მოქალაქეთა მიერ ინიცირებული საკითხების განხილვა უწყებების დონეზე). კონცეფციის კომპლექსურობიდან გამომდინარე, მთავრობის ადმინისტრაცია დათანხმდა საწყის ეტაპზე მხოლოდ პირველი და მეორე დონის (ელ-პეტიციები მთავრობას და საჯარო კონსულტაციების) ჩართულობის მექანიზმის შემუშავებაზე.		
მთავარი მიზანი	ელექტრონული პეტიციების პლატფორმის შექმნა		
OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება	საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა		
შესაბამისობა OGP პრინციპებთან	გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
	✓	✓	✓
ვალდებულების განხორციელების ეტაპები	ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:
კონცეფციის შემუშავება		2014	2014
პლატფორმის შექმნა		2014	2014
საინფორმაციო კამპანიის უზრუნველყოფა		2014	2014
ინდიკატორი	პლატფორმა შექმნილია		
რისკები და ვარაუდები	არასრულყოფილად ჩატარებული საინფორმაციო კამპანიის გამო, პლატფორმის შესახებ ინფორმაცია ნაკლებად იქნა გავრცელებული რამაც განაპირობა მისი მომხმარებლების რაოდენობის სიმცირე. ხელმოწერილ პეტიციებზე ან კონსულტაციებზე უკუკავშირი მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს, რაც განაპირობებს პლატფორმისადმი მოქალაქეთა ნდობის ხარისხის კლებას და შესაბამისად, მასში როგორც ჩართულობის ქმედით მექანიზმში იმედგაცრუებას.		

ვალდებულება 2. მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა საკანონმდებლო პროცესში

ქვეყანაში ღია მმართველობის დამკვიდრებისთვის კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება საკანონმდებლო ორგანოს, საქართველოს პარლამენტის აქტიურ ჩართულობას ამ პროცესში. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა მას შემდგომ, რაც მმართველობის საპრეზიდენტო მოდელი საპარლამენტომ ჩაანაცვლა. ვთვლით, რომ აქედან გამომდინარე ძალიან მნიშვნელოვანია პარლამენტის როლის გაზრდა სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობისა და პირდაპირი დემოკრატიის ინსტიტუციურ განვითარებაში. ეს მიდგომა კარგად არის ფორმულირებული პარლამენტის ღიაობის დეკლარაციაში "Parliament has a duty to actively engage citizens and civil society, without discrimination, in parliamentary processes and decision-making in order to effectively represent citizen interests and to give effect to the right of citizens to petition their government." მსოფლიოში ბოლო დროს ტრენდად დამკვიდრდა საპარლამენტო საქმიანობის გამჭვირვალობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება.[1] ვფიქრობთ, რომ საქართველოს პარლამენტმაც უნდა მიმართოს საკუთარი ძალისხმევა მოქალაქეთა უფრო აქტიური ჩართულობისთვის საკანონმდებლო პროცესებში. ჩვენ საკანონმდებლო ორგანოს ვთავაზობთ ორი მნიშვნელოვანი ნოვაციის დანერგვას საკუთარ საქმიანობაში.

1. პარლამენტმა უზრუნველყოს მოქალაქეთა პეტიციების სისტემის დანერგვა

მოქალაქეთა პეტიციებთან დაკავშირებით, მსოფლიოში ბევრი საინტერესო ანალოგი და პრაქტიკა არსებობს. IDFI-ის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით მიმოხილული იქნა რამდენიმე ქვეყნის მაგალითი. ჩვენთვის ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა გერმანიის ბუნდესტაგის პეტიციების კომიტეტის მუშაობა და ონლაინ პეტიციების პლატფორმა.[2] ასევე შესაძლებელია განხილულ იქნას ლიტვაში არსებული პლატფორმის ანალოგიც.[3] პეტიციებთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა მიდგომები, შესაძლებელია სპეციალურად პეტიციების კომიტეტის შექმნა, პეტიციები შესაძლებელია მიემართოს უკვე არსებულ კომიტეტებს, შესაძლებელია პეტიციების კომიტეტმა შეასრულოს მედიატორის როლი ხელისუფლებასა და მოქალაქეს შორის და სხვა. ონლაინ პეტიციების პლატფორმები არსებობს და ფუნქციონირებს დიდ ბრიტანეთში, ფინეთში, გერმანიაში, შოტლანდიაში, ლატვიაში, ახალ ზელანდიაში, ავსტრალიაში და სხვა ქვეყნებში. შესაბამისად აუცილებლად მიგვაჩნია საქართველოს პარლამენტმა, სამოქალაქო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობაში

[1] The *Declaration on Parliamentary Openness* was officially launched at the World e-Parliament Conference 2012 in Rome, Italy, on the International Day of Democracy, September 15, 2012.

[2] მოქალაქის პლატფორმის კონცეფცია - www.ichange.ge *https://idfi.ge/ge/concept-of-citizen-platform-www-ichange-ge* გვ. 39-50

[3] *http://manabalss.lv*

შეიმუშაოს და დანერგოს ელექტრონული დემოკრატიის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი - პეტიციები საკანონმდებლო ორგანოს.

2. ყველა მსურველს მიეცეს საშუალება გააკეთოს კომენტარი პარლამენტში კანონპროექტის სახით ინიცირებულ დოკუმენტზე.

საკანონმდებლო საქმიანობაში ჩართულობა, ღია მმართველობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საქვეყნოობა და საჯაროობა აუცილებელი კომპონენტია ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის. დღესდღეობით, განახლებულ პარლამენტის ვებ-გვერდზე სრულყოფილად არის წარმოდგენილი ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, როგორიც არის საქართველოს კანონის პროექტები, შესაბამისი თანდართული დოკუმენტაციით. მიუხედავად აღნიშნულისა, ძალიან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, პარლამენტმა კიდევ უფრო გახსნას სივრცე საჯარო დებატებისა და სამოქალაქო ჩართულობისთვის, რის საუკეთესო გზაც იქნებოდა, კანონპროექტებზე, ან უკვე არსებულ კანონებზე კომენტარებისა და საჯარო კონსულტაციების უზრუნველყოფა. დღესდღეობით მსგავსი ფორმატი უკვე მუშაობს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე. თუმცა ობიექტურად შეიძლება აღინიშნოს, რომ მხოლოდ პარლამენტია ის უფლებამოსილი ორგანო ვისაც ძალუძს არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებების რეალური ასახვა და პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტების მოდიფიცირება. შესაბამისად, გამჭვირვალე და მოქალაქეთა ჩართულობაზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვისთვის მნიშვნელოვანად მიგვაჩნია ამ ნაბიჯის გადადგმა. ეს, რა თქმა უნდა, არ არის ახალი სტანდარტი. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში აღნიშნული მიდგომა უკვე აპრობირებული და დანერგილია.[4] მსგავსი პრაქტიკის დანერგვის მცდელობა იყო მათ შორის საქართველოშიც, როდესაც გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ნიდერლანდების სამეფოს მხარდაჭერით შეიქმნა საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის სპეციალური რესურსი. [5]

[4] მოქალაქის პლატფორმის კონცეფცია - **www.ichange.ge** ***https://idfi.ge/ge/concept-of-citizen-platform-www-ichange-ge*** **გვ. 50-70**
[5] ***http://constitution.ge***

პასუხისმგებელი უწყება: *საქართველოს პარლამენტი*

განხორციელების ვადა: *2014 წლის სექტემბერი - სამოქმედო გეგმის მოქმედების ვადის განმავლობაში*

ვალდებულება 2: მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა საკანონმდებლო პროცესში				
წამყვანი დაწესებულება		საქართველოს პარლამენტი		
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება			
	სამოქალაქო/კერძო სექტორი			
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა				
მთავარი მიზანი		- საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი პეტიციების პლატფორმის შექმნა - პარლამენტის ვებ-გვერდზე კანონებსა და კანონპროექტებზე საჯარო კონსულტაციების პლატფორმის დანერგვა		
OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება		საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა		
შესაბამისობა OGP პრინციპებთან		გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
		✓	✓	✓
ვალდებულების განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:
	პარლამენტისთვის პეტიციების წარდგენის პლატფორმის კონცეფციის შემუშავება, პროცედურების განსაზღვრა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღება;	ახალი ვალდებულება	2014	2014
	პლატფორმის დანერგვა და საინფორმაციო კამპანიის განხორციელება.	ახალი ვალდებულება	2014	2015
	კანონებსა და კანონპროექტებზე კომენტარების წარდგენის	ახალი ვალდებულება	2014	2014

პროცედურების განსაზღვრა და შესაბამისი სამართლებრივი აქტის დამტკიცება.			
კომენტარების განმხილველი პასუხისმგებელი სტრუქტურის შექმნა და ვებ-გვერდზე შესაბამისი ფუნქციონალის დამატება.	ახალი ვალდებულება	2014	2015
ინდიკატორი	2015 წლის დასაწყისში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, შესაძლებელია პარლამენტში პეტიციების წარდგენა და კანონებსა და კანონპროექტებზე კომენტარების გაკეთება;		
რისკები და ვარაუდები	პეტიციებზე გაცემული პასუხები მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს, რაც განაპირობებს პლატფორმისადმი მოქალაქეთა ნდობის ხარისხის კლებას და შესაბამისად, მისი როგორც ჩართულობის ქმედითი მექანიზმის, ნიველირებას. კომენტარებზე გაცემული პასუხები მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს, რაც განაპირობებს პლატფორმისადმი მოქალაქეთა ნდობის ხარისხის კლებას და შესაბამისად, მისი როგორც ჩართულობის ქმედითი მექანიზმის, ნიველირებას.		

ვალდებულება 3: შსს სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

ქვეყნის მშენებლობაში სამოქალაქო სექტორის ეფექტიანად ჩართულობის, საჯარო დაწესებულებათა მუშაობის ტრანსპარენტულობის მაღალი სტანდარტის მიღწევისა და სახელისუფლებლო აპარატის საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია საჯარო ინფორმაციის მაქსიმალური ხელმისაწვდომობა, მათ შორის პროაქტიულადაც, სხვადასხვა სახის სპეციალიზირებული სტატისტიკურ-ანალიტიკური ვებ-პორტალების მეშვეობით. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მიმართებაში აღნიშნული განსაზღვრულია მათ შორის საქართველოს სამთავრობო პროგრამითაც, სადაც აღნიშნულია, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სამინისტროს ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველმყოფი სისტემების, მათ შორის, პროაქტიული საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების სისტემების დანერგვა/გაუმჯობესებას. [6]

აქედან გამომდინარე, საჯარო პოლიტიკის ღიაობისა და ინფორმაციის გამჭირვალობის კუთხით, ქვეყნის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტებისა და აღებული ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განსაკუთრებული აქცენტირება ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა:

ა) დანაშაულის დეტალიზებული კრიმინოლოგიური რუკა;
ბ) საგზაო უსაფრთხოებისა და ინციდენტების შესახებ სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობა.

კრიმინოლოგიური მდგომარეობის შესახებ, მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნების შემთხვევაში, მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება, მიიღოს მისთვის საჭირო ამომწურავი ინფორმაცია დანაშაულის ცალკეულ კატეგორიათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და დინამიკის, ანალოგიური საანგარიშო პერიოდებთან შედარების, რეგიონალურ და საცხოვრებელი ზონების ჭრილში განფენის და სხვა მახასიათებლების შესახებ. მსგავსი პრაქტიკა სრულყოფილად არის რეალიზებული დიდი ბრიტანეთში, სადაც კრიმინოლოგიური სიტუაციის შესახებ მონაცემები (ქუჩების დონეზე) ქვეყნის მასშტაბით ქვეყნდება, ამისთვის სპეციალურად შექმნილ ონლაინ რუკაზე. [7]

პასუხისმგებელი უწყება: *შინაგან საქმეთა სამინისტრო*

განხორციელების ვადა: *2014 - 2015 წლები*

---

[6] **სამთავრობო პროგრამა „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის" - გვ. 6**
http://www.government.gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=333

[7] www.police.ge

ვალდებულება 3: შსს სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება				
წამყვანი დაწესებულება		შინაგან საქმეთა სამინისტრო		
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება			
	სამოქალაქო/კერძო სექტორი			
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		დღეის მდგომარეობით, შსს ანალიტიკური დეპარტამენტი სრულად ამუშავებს შესაბამის მონაცემთა ბაზებს დანაშაულის სტატისტიკასთან დაკავშირებით. სტატისტიკა ქვეყნდება შსს ოფიციალურ ვებ-გვერდზე არარეგულარულად და პდფ ფორმატში. დამატებითი მონაცემების მიღება შესაძლებელი ხდება, მხოლოდ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ფორმით. არსებული მონაცემების გადმოტანა სპეციალურად ამისთვის შექმნილ ვებ-პორტალზე არ წარმოადგენს არსებით პრობლემას ასეთი სურვილისა და ნების არსებობის შემთხვევაში.		
მთავარი მიზანი		შსს მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.		
OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება		უსაფრთხო გარემოს შექმნა		
შესაბამისობა OGP პრინციპებთან		გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
		✓	✓	
ვალდებულების განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:
კონცეფციის შემუშავება			2014	2014
პლატფორმის შექმნა			2015	2015
ინდიკატორი		პლატფორმა შექმნილია		
რისკები და ვარაუდები		სტატისტიკური მოდულის შსს ბაზებთან ინტეგრაციის შეუძლებლობის გამო მისი მონაცემების ავტომატურ რეჟიმში განახლება ვერ ხორციელდება, ხოლო ფიზიკური განახლება პრობლემურია შესაბამისი პასუხისმგებელი პირის არ არსებობის გამო.		

ვალდებულება 4: მიყურადების შესახებ კანონმდებლობის გაუმჯობესება და პროაქტიული გამჭვირვალობა

2013 წლის 2 ოქტომბერს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ (PACE) საკუთარი დადგენილებით გაიზიარა სამოქალაქო საზოგადოების მიერ შედგენილი რეკომენდაციათა პაკეტი ,,ეროვნული უსაფრთხოებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების გლობალური პრინციპების შესახებ.“ სარეკომენდაციო პაკეტზე ორწლიანი მუშაობის პროცესი სამხრეთ აფრიკაში, ცვანეში დასრულდა და სახელწოდება **,,ცვანეს პრინციპები“** სიმბოლურად აქედან მომდინარეობს. **ცვანეს რეკომენდაციათა** პაკეტის შემუშავებაში 70 ქვეყნის 22 საზოგადოებრივი ორგანიზაციის, აკადემიური წრეების 500 მეტი ექსპერტი მონაწილეობდა.

2013 წლის 17 დეკემბერს, მსოფლიო მასშტაბით 100-ზე მეტმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, მათ შორის **,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI), საჯარო მიმართვა** გაავრცელა ,,ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) თანა-თავმჯდომარეების, მუდმივმოქმედ კომიტეტისა და **OGP-ის წევრი ქვეყნების სახელზე.** საჯარო მიმართვა მსოფლიო მასშტაბით მიყურადების არაპროპორციულ პრაქტიკას და გამჭვირვალობის ეფექტურ უზრუნველყოფის მოთხოვნას უკავშირდებოდა ,,დამკვიდრებული პრაქტიკა ძირს უთხრის ძალაუფლების გადანაწილების პრინციპს, რაზეც დამყარებულია ანგარიშვალდებულება და საფრთხეს უქმნის გამოხატვის, ინფორმაციისა და გაერთიანების თავისუფლებას. აღნიშნულის გარეშე კი ღია მმართველობის იდეალები კარგავს მნიშვნელობას“, აღნიშნული იყო ხელისმომწერთა მიმართვაში.[8] საჯარო მიმართვის ხელისმომწერებმა გადაწყვეტილების მიმღებებს კონკრეტულ რეკომენდაციებით მიმართეს:

- აღიარებული იქნეს პირადი სივრცისა და ადამიანის უფლებების არსებული კანონმდებლობის გადახედვის საჭიროება, რათა მოხდეს მათი მოდერნიზება იმგვარად, რომ ასახოს თანამედროვე სამეთვალყურეო ტექნოლოგიები;
- ,,ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) ფარგლებში გადახედონ ეროვნულ კანონმდებლობებს, რათა დაიგეგმოს ისეთი რეფორმები, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწოფოს მხრიდან კანონიერ და პროპორციულ ზედამხედველობას;
- უზრუნველყონ OGP-ის სამოქმედო გეგმებით გაწერილი ზედამხედველობის მექანიზმების და სახელმწიფოთა შორის მოქალაქეების მონაცემთა გაცვლის გამჭვირვალობა.

[8] OGP–ის მხარდამჭერი სამოქალაქო ორგანიზაციები საჯარო მიმართვას ავრცელებენ - https://idfi.ge/ge/public-statement-spread-by-the-csos-across-the-globe-to-the-ogp-

საქართველოში უკანონო მიყურადების საკითხი დღემდე ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ და პრობლემურ საკითხად რჩება. ამას პირველ რიგში ადასტურებს უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისიის ანგარიში.[9] აღნიშნულს ასევე ადასტურებს საქართველოს სამოქალაქო სექტორისა, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის აქტიური მონაწილეობა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებაში.[10] ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ კანონმდებლობაში შევა შესაბამისი ცვლილებები, რაც გააუმჯობესებს მიყურადების და მოსმენებზე არსებულ კონტროლის მექანიზმებს.

ვფიქრობთ, რომ აუცილებელია, საქართველოს მთავრობამ სწორედ "პარტნიორობა ღია მმართველობისთვის" ინიციატივის ფარგლებში გაწეროს ამ მეტად მნიშვნელოვანი ვალდებულების განხორციელების პირობები. აღნიშნული ვალდებულება ჩვენი აზრით 2 მიმართულებით შეიძლება იქნეს განსაზღვრული:

1. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონის დახვეწა და გაუმჯობესება, მოქალაქეთა უფრო მეტი დაცულობისა და დემოკრატიული კონტროლის უზრუნველყოფის კუთხით;

2. მიყურადების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის პროაქტიული საჯაროობის უზრუნველყოფა. [11]

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ორივე ეს ვალდებულება, ძალიან მნიშვნელოვანია, ღია და გამჭვირვალე მმართველობის დანერგვის კუთხით.

[9] http://government.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=323&info_id=40479

[10] *„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ http://parliament.ge/ge/law/1317/3542*

[11] *ეს ორივე ვალდებულება რეკომენდაციის სახით არის მათ შორის წარმოდგენილი "ღია მმართველობის პარტნიორობის" მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელოში: Establish safeguards to ensure that new technologies used for police surveilence respect the right to privacy - http://www.opengovguide.com/commitments/establish-safeguards-to-ensure-that-new-technologies-used-for-police-surveilence-respect-the-right-to-privacy/*

პასუხისმგებელი უწყება: *საქართველოს მთავრობა*

განხორციელების ვადა: *2014 - 2015*

ვალდებულება 4: მიყურადების შესახებ კანონმდებლობის გაუმჯობესება და პროაქტიული გამჭვირვალობა		
წამყვანი დაწესებულება		საქართველოს მთავრობა
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	საქართველოს პარლამენტი, შინაგან საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, უზენაესი სასამართლო, უშიშროების საბჭო, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო.
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	სამოქალაქო საზოგადოება
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		პარლამენტის წევრების მხარდაჭერით, სამოქალაქო საზოგადოების მიერ საკანონმდებლო პაკეტის ინიცირება საქართველოს პარლამენტში მოხდა 2013 წლის გაზაფხულზე. საკანონმდებლო პაკეტი მიზნად ისახავს იმას, რომ ფარულ მოსმენებთან დაკავშირებული კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვიდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან და დაუახლოვდეს ევროპული ქვეყნების გამოცდილებას, რითაც შეუძლებელი გახდება ან მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ადამიანის პირადი კომუნიკაციის თვითნებური ხელყოფის რისკები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საკანონმდებლო პაკეტი არაერთმა ევროპელმა ექსპერტმა შეაფასა დადებითად. დღესდღეობით უწყებათაშორისი დროებითი სამუშაო ჯგუფი კვლავ გრძელდება მუშაობა საკანონმდებლო ცვლილებებზე. მიუხედავად შეფერხებული და დროში გაწელილი პროცესისა, ცალსახაა, რომ კანონმდებლობა აუცილებლად დაექვემდებარება გადახედვას მეტი კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით. რაც შეეხება, მიყურადებასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების საჯაროობას, ჩვენი პრაქტიკა და კვლევები ადასტურებს იმ ფაქტს, რომ აღნიშნული მონაცემების ხელმისაწვდომობა პრობლემური საკითხია, თუმცა ნაწილობრივ უკვე დღევანდელობის გათვალისწინებით ასეთი მონაცემები გარკვეულწილად მაინც ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის.[12]

[12] მიყურადების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის საჯაროობა IDFI-ის პრაქტიკა https://idfi.ge/ge/statistical-data-idfi-practice

	შესაბამისად, პოლიტიკური ნების შემთხვევაში არაფერი უდგას წინ მსგავსი მონაცემების გამოქვეყნებას (ძალოვანი უწყებების ან სასამართლო ხელისუფლების მხრიდან).		
მთავარი მიზანი	მიყურადების შესახებ კანონმდებლობის გაუმჯობესება და პროაქტიული გამჭვირვალობის უზრუნველყოფა		
OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება	უსაფრთხო გარემოს შექმნა		
შესაბამისობა OGP პრინციპებთან	გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
	✓	✓	
ვალდებულების განხორციელების ეტაპები	ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:
ცვლილებები კანონში მიღებულია		2014	2014
მიმდინარეობს კანონით განსაზღვრული ცვლილებების იმპლემენტაცია		2014	2015
მიყურადებასთან დაკავშირებით არსებული სტატისტიკური მონაცემები ქვეყნდება		2014	2014
ინდიკატორი	**1. ცვლილებები კანონში მიღებულია** **2. სტატისტიკური მონაცემები ქვეყნდება**		
რისკები და ვარაუდები	პრობლემის სპეციფიკურობიდან და აქტუალობიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება. შედეგად ხელისუფლებამ კანონმდებლობაში შეიტანა ცვლილებების ის პაკეტი, რომელიც ვერ ასახავს სამოქალაქო სექტორის მოლოდინებსა და ინიციატივებს, რამაც გამოიწვია განხორციელებული ცვლილებებისადმი კრიტიკული განწყობა. სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნებას შესაძლებელია პრობლემური გახდეს მისი აღრიცხვის სისტემის არ არსებობის გამო (შსს ოფიციალური პოზიცია), თუმცა, მისი წარმოება და გამოქვეყნება სრულიად შესაძლებელია სასამართლო ხელისუფლების მხრიდანაც, შესაბამისი ნების არსებობის პირობებში.		

ვალდებულება 5: საჯარო ფინანსების განკარგვის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

საქართველოში დანერგილი ელექტრონული ტენდერების სისტემა ერთ-ერთი ყველაზე გამჭვირვალე და ღია პლატფორმაა მსოფლიოში. მიუხედავად აღნიშნულისა ამ სექტორში კვლავ არსებობს რამდენიმე საკითხი რაც ჩვენი აზრით გამოსწორებას საჭიროებს. მაგ. ჩვენი აზრით უნდა შემცირდეს ელექტრონული შესყიდვების სისტემის გვერდის ავლით შესყიდვების განხორციელების შემთხვევები. პრეზიდენტის, მთავრობისა და თბილისის მერის სარეზერვო ფონდებიდან შესყიდვების განხორციელება უნდა მოხდეს ელექტრონული სისტემის გამოყენებით. უნდა შემცირდეს გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების წილი მთლიანად განხორციელებულ შესყიდვებთან შეფარდებით. ამავე დროს ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კონტრაქტებთან არსებული პირველადი დოკუმენტაციის გამჭვირვალობა, არამედ მათ შორის ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ანგარიშგების მექანიზმების გაუმჯობესება და საჯაროობა.

კერძოდ საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით მნიშვნელოვანია ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაცია ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, მათ შორის ქვე-კონტრაქტორების მიერ გატარებული ღონისძიებების, კონტრაქტის განხორციელების გრაფიკისა და ეტაპების, შესრულების მდგომარეობის, განხორციელების ეტაპზე გადახდილი თანხების, მიღებული მომსახურების და ფასების, კონტრაქტების დასრულების შესახებ. რისკების შეფასებები მათ შორის გარემოს დაცვისა და სოციალური ზემოქმედების შეფასების, მთავრობის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებების შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე შესაბამისი ფინანსური ინფორმაცია შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ, როგორიცაა დროისა და ღირებულების ნამატი (time and cost overruns) და სხვა.[13]

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ ვთავაზობთ საქართველოს ხელისუფლებას ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით:

1. განისაზღვროს ანგარიშგების ახალი ფორმები და კრიტერიუმები;
2. კანონმდებლობაში ასახული შესაბამისი სამართლებრივი ცვლილებებით განისაზღვროს ანგარიშგების პროცედურები და პირთა წრე ვიზეც გავრცელდება ეს ვალდებულება;
3. დაინერგოს ამ ფორმების გამოქვეყნების ვალდებულება შესყიდვების ერთიან

[13] Proactively disclose core classes of documents and data about public contracting – http://www.opengovguide.com/commitments/routinely-disclose-core-classes-of-documents-and-data-about-public-contracting / ან Developing Data Standards for Open Contracting - http://www.open-contracting.org/developing_data_standards_for_open_contracting

ელექტრონულ სისტემაში.

შესაბამისი ორგანოებმა (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, ფინანსთა სამინისტრო, აუდიტის სამსახური) სამოქალაქო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობაში, უნდა შეიმუშაონ კონტრაქტების განხორციელებისა და შესრულების შესახებ ანგარიშგების სპეციალური ფორმები, რომელიც სავალდებულოდ შესავსები და გამოსაქვეყნებელი იქნება ტენდერების ელექტრონულ სისტემაში ან პროაქტიულ რეჟიმში. ფორმაში შესაძლებელია აისახოს მიმწოდებლის მიერ გატარებული სამუშაოს შესახებ ნარატიული და ფინანსური ინფორმაცია, მათ შორის ქვე-კონტრაქტორების, გაწეული სამუშაოს ხარჯების, განხორციელებული ღონისძიებების, ღირებულების ნამატის, დასაქმებულთა რაოდენობის და სხვა რელევანტური საკითხების შესახებ ინფორმაცია. აღნიშნული ანგარიშგების ფორმების შევსების ვალდებულება უნდა დაეკისროთ:

- იმ სუბიექტებს ვინც კონტრაქტი მიიღო გამარტივებული შესყიდვის გზით (ხელშეკრულების ღირებულება უნდა შეადგენდეს მაგ. 50 000 ლარზე მეტს);
- საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მე-3 პრიმა მუხლის ე პუნქტით განხორციელებული კონტრაქტების მიმღებ სუბიექტებს.

ანგარიშგების ფორმების შევსების ვალდებულება უნდა გულისხმობდეს მაგ. მომსახურებაზე და მშენებლობაზე განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენას. აღნიშნული ცვლილება, კიდევ უფრო გამჭვირვალეს გახდის შესყიდვების პროცესს, ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი მონიტორინგისა და აუდიტის განხორციელებას, არა მხოლოდ ტენდერების გამოცხადების საწყის ეტაპზე, არამედ რაც აგრეთვე მნიშვნელოვანია, სამუშაოების განხორციელებისა და დასრულების ეტაპზეც.

პასუხისმგებელი უწყება: *სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო*

განხორციელების ვადა: *2014 - 2015*

ვალდებულება 5: საჯარო ფინანსების განკარგვის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა		
წამყვანი დაწესებულება		სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ფინანსთა სამინისტრო
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	სამოქალაქო საზოგადოება
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		დღეის მდგომარეობით სააგენტო უფლებამოსილია სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ორგანიზაციებისა და შესყიდვებში მონაწილე პირთაგან

	მოითხოვოს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი და ინფორმაცია, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ჩათვლით. შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №2-ით განსაზღვრულია ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე ანგარიშის წარდგენის ვალდებულებაც, რაც თავის მხრივ მოიცავს მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დადებული ხელშეკრულების ან ამ ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილების (მათ შორის, ხელშეკრულების შეწყვეტის) ამსახველი დოკუმენტის ასლის და ფაქტობრივი გადახდის შესახებ ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას. მშენებლობასთან დაკავშირებით სპეციალურად განსაზღვრულია ე.წ. ფორმა #2. მიუხედავად აღნიშნულისა, მსგავსი დოკუმენტაცია თავისი შინაარსიდან გამომდინარე ნაკლებად საინტერესო შეიძლება იყოს საზოგადოებისთვის. შესაბამისად, უნდა განისაზღვროს ანგარიშგების ისეთი ფორმის სპეციფიკაცია, რომელიც ხელმისაწვდომს გახდის იმგვარ ინფორმაციას რაც მნიშვნელოვანი იქნება ანგარიშვალდებულებისა და შესრულებული სამუშაოების ხარისხზე საზოგადოებრივი კონტროლის გაუმჯობესებისათვის.		
მთავარი მიზანი	საჯარო ფინანსების განკარგვის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა		
OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება	საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა		
შესაბამისობა OGP პრინციპებთან	გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
	✓	✓	✓
ვალდებულების განხორციელების ეტაპები	ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:
ანგარიშგების ფორმები და მათი წარდგენის კრიტერიუმები განსაზღვრულია		2014	2014
სამართლებრივ აქტებში შესაბამისი ცვლილებები შეტანილია		2014	2015
ანგარიშგების ფორმები ქვეყნდება		2015	2015
ინდიკატორი	**1. ცვლილებები კანონში მიღებულია** **2. მონაცემები ქვეყნდება**		
რისკები და ვარაუდები	ანგარიშგების ფორმების წარმოება დამატებითი ტვირთია ბიზნეს სექტორისთვის. სამოქალაქო სექტორი, მედია დაინტერესებული მხარეები არ იყენებენ გამოქვეყნებულ მონაცემებს საზოგადოებრივი კონტროლის საწარმოებლად.		

ვალდებულება 6: სახელმწიფო არქივების გამჭვირვალობა

1. საქართველოს სახელმწიფო გამგებლობაში არსებული არქივების მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწა და მომსახურების ერთიანი სტანდარტების დაწესება

საქართველო სახელმწიფო გამგებლობაში არქივებში დაცულ მასალების უნიკალურობის გათვალისწინებით, წარმოადგენს განსაკუთრებულ ქვეყანას, რომელსაც გააჩნია XX საუკუნის ისტორიის შესწავლისთვის ფასდაუდებელი წყაროები.

არქივებში დაცული მასალის ხელმისაწვდომობა და არქივების ღიაობა, საშუალებას აძლევს მკვლევარებს და მოქალაქეებს გაეცნონ წარსულს და შეისწავლონ წინა მთავრობების საქმიანობის დადებით და უარყოფით მხარეებს. ასევე, მთავრობა, არქივების გახსნილობით, კარგად აღიქვამს, რომ მათი საქმიანობაც ადრე თუ გვიან გახდება ხელმისაწვდომი და ამით გამოხატავს გამჭვირვალობის ნებას.

საქართველოში სახელმწიფოს გამგებლობაში არსებულ არქივებში მუშაობა რეგულირდება ან ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ საქართველოს კანონით, ან სხვა ნორმატიული აქტებით, რომლებიც აწესრიგებს სახელმწიფოს კუთვნილი კონკრეტულ არქივში (როგორიც არის, მაგალითისთვის, საქართველოს მთავრობის დადგენილება, რომელიც აწესრიგებს შსს-ის არქივის, რომელიც აერთიანებს ყოფილი უშიშროების კომიტეტის არქივსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანოების არქივს, მუშაობისა და გაწეული მომსახურების წესებს.

ამავდროულად, საქართველოს არქივებში მუშაობას ასევე აწესრიგებს საქართველოს კანონები სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი.

ხშირად, სახელმწიფოს გამგებლობაში არსებულ არქივებში დაცულ დოკუმენტებთან დაშვების წესების, მუშაობის და მომსახურებისთვის დაწესებული საფასურის შესახებ ვაწყდებით განსხვავებულ პრაქტიკას.

გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფოში გამჭვირვალობის პრინციპის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს არქივების ღიაობა, საარქივო დოკუმენტებთან დაინტერესებული სუბიექტების (მკვლევარების, ჟურნალისტების, დაინტერესებული მოქალაქეების) უპრობლემოს წვდომა და მომსახურების ხელმისაწვდომობა, რაც ასევე აღნიშნულია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში.

ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) წარმოდგენს სწორედ იმ პლატფორმას, რომლის ფარგლებში, სახელმწიფოს გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის

და გაუმჯობესების, ისევე როგორც სახელმწიფო სერვისების განვითარების კატეგორიაში, შესაძლებელი იქნება სახელმწიფოს გამგებლობაში არსებული ყოფილი საიდუმლო არქივების გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი საქმიანობის დახვეწა. აღნიშნული ინიციატივა მისცემს საშუალებას ჩვენს თანამოქალაქეებსა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს (მკვლევარს, სტუდენტს, ჟურნალისტს), კარგად გაეცნოს ჩვენი ქვეყნის საბჭოური პერიოდის ისტორიას და წარსულს, შეისწავლოს და დაამუშაოს ათწლეულების განმავლობაში გასაიდუმლოებულ ინფორმაციას და ახლებურად წარმოადგინოს უმნიშვნელოვანესი ისტორიული ფაქტები.

აღნიშნული ვალდებულების ფარგლებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს პარლამენტთან, ეროვნულ არქივთან და შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივთან ერთად უზრუნველყოფენ საარქივოს სფეროს მარეგულირებელი და მასთან დაკავშირებული კანონმდებლობის (სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი) დახვეწას იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას გამგებლობაში არსებულ არქივებში დაცულ ყოფილ გრიფით საიდუმლო ისტორიულ დოკუმენტებთან დაშვების ერთიანი სტანდარტის დადგენა და პრაქტიკაში ამოქმედება, არქივებში მომსახურების ტარიფების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

პასუხისმგებელი უწყება: *საქართველოს იუსტიციის სამინისტრო*

განხორციელების ვადა: *2014 - 2015*

ვალდებულება 6: სახელმწიფო არქივების გამჭვირვალობა		
წამყვანი დაწესებულება		საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	საქართველოს პარლამენტი, ეროვნული არქივი და შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		დღეის მდგომარეობით საქართველოში სახელმწიფოს გამგებლობაში არსებულ არქივებში მუშაობა რეგულირდება სხვადასხვა საკანონმდებლო აქტით, რაც პრაქტიკაში განსხვავებულ მიდგომების დამკვიდრების საშუალებას იძლევა. ათწლეულების განმავლობაში დამკვიდრებული საიდუმლოების მემკვიდრეობა, მოუწესრიგებელი სამართლებრივი ბაზა ხელს უშლის სახელმწიფო არქივებში ისტორიულ დოკუმენტებთან მკვლევართა, ჟურნალისტთა და დაინტერესებულ პირთა წვდომას. არაერთგვაროვან პრაქტიკას ვაწყდებით სახელმწიფოს არქივების მიერ გაწეულ სხვადასხვა მომსახურებების ტარიფებთან დაკავშირებით, რაც თავის მხრივ

	უარყოფითად აისახება ისტორიული მეცნიერების კვლევითი კულტურის და ტრადიციის განვითარებაში.		
მთავარი მიზანი	სახელმწიფოს გამგებლობაში არსებული არქივების გამჭვირვალობის და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა		
OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება	გაუმჯობესებული საჯარო მომსახურება		
შესაბამისობა OGP პრინციპებთან	გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა
	✓	✓	
ვალდებულების განხორციელების ეტაპები	ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:
სამართლებრივ აქტებში შესაბამისი ცვლილებები შეტანილია		2014	2015
დარეგულირებულია არქივების მომსახურების ტარიფები		2014	2015
ინდიკატორი	**1. ცვლილებები კანონებში მიღებულია** **2. დარეგულირებულია და სტანდარტიზებულია არქივებში მომსახურების ტარიფები**		
რისკები და ვარაუდები	ვერ მოხდეს ყველა დაკავშირებულ კანონში ცვლილებების მიღება და არქივებში მომსახურების ტარიფების სტანდარტიზება, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს არაერთგვაროვანი პრაქტიკის შენარჩუნება		

2. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დოკუმენტების ელექტრონული კატალოგის გაკეთება და გამოქვეყნება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინსიტროს არქივი, რომელიც მოიცავს ყოფილი უშიშროების კომიტეტის არქივს და საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანოების არქივს, საბჭოთა პერიოდშიც და შემდგომაც, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე ხელმიუწვდომელ (დაშვების თვალსაზრისით) დაწესებულებას. აღნიშნულ არქივში დაცულია უძვირფასესი ისტორიული ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მემკვიდრეობას და მოიცავს საქართველოს XX საუკუნის ისტორიის ყველა ასპექტს და შეუძლებელია საბჭოთა ისტორიის გააზრება აღნიშნულ არქივებში დოკუმენტების დეტალური შესწავლისა და ანალიზის გარეშე.

ყოფილი უშიშროების სამინისტროს არქივი, რომელიც მოიცავს უმეტესწილად პოლიტიკური ნიშნით რეპრესირებულ ადამიანთა მიმართ გამოძიების მასალებს, ისევე

როგორც სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებს, წარმოადგენდა სრულიად საიდუმლო არქივს, სადაც მოქმედებდა განსაკუთრებული დაშვების რეჟიმი.

უნდა აღინიშნოს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივისადმი არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ არქივში არ არის დახარისხებული დოკუმენტები თანამედროვე კატალოგიზაციის სისტემით და დღეის მდგომაროებით შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ზოგიერთი ფონდის დოკუმენტების აღწერილობა საკმაოდ ზოგადი შინაარსისაა, ართულებს არქივში დაინტერესებული პირების მიერ დოკუმენტებთან წვდომას და მუშაობას. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში მიმდინარეობს დოკუმენტების დიგიტალიზაციის და მონაცემთა ბაზების ფორმირების პროცესი, რაც ხელს შეუწყობს განახლებული და გამჭვირვალე კატალოგიზაციის სისტემის შექმნას.

ყოფილი უშიშროების კომიტეტის არქივში დაცული მასალებისადმი ინტერესი და მათი მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს კანონში „თავისუფლების ქარტია“ განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, 2014 წლის 28 თებერვალს დამტკიცდა კომისია, რომლის მიზანია:

ა) ყოფილი სსრკ-ის სპეციალური სამსახურების საიდუმლო თანამშრომლების, საქართველოს კანონით დადგენილი თანამდებობის პირების რეგისტრაცია, ნებაყოფლობითი აღიარებისა და რეესტრის წარმოება;

ბ) კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების და პროპაგანდის აკრძალვა;

გ) „თავისუფლების ქარტია“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სხვა მიზნების განხორციელება.

აღნიშნული ინფორმაციის მოგროვება და რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს, ასევე, ყოფილი უშიშროების არქივის მასალებზე დაყრდნობითაც.

ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში, რამდენიმე სახელმწიფოს აღებული აქვს ვალდებულებად სახელმწიფო არქივების ღიაობის და ხელმისაწვდომობის, უშიშროების სისტემის მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტების გამოქვეყნების თვალსაზრისით. უპირველეს ყოვლისა ეს ეხება კანადის და შეერთებული შტატების მთავრობების ვალდებულებებს.

ყოფილი უშიშროების არქივში დაცული მასალების მაღალი საზოგადოებრივი და სამეცნიერო ინტერესიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივმა უნდა უზრუნველყოს ყოფილი უშიშროების კომიტეტში დაცული დოკუმენტების ელექტრონული კატალოგის შექმნა (შესაბამისი აღწერილობით) და გამოქვეყნება როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური სახით.

პასუხისმგებელი უწყება: *საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი*

განხორციელების ვადა: *2014 - 2015*

ვალდებულება 6: სახელმწიფო არქივების გამჭვირვალობა				
წამყვანი დაწესებულება		საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი		
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო		
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	IDFI		
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია უძვირფასესი ისტორიული ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მემკვიდრეობას და მოიცავს საქართველოს XX საუკუნის ისტორიის ყველა ასპექტს და შესაბამისად შეუძლებელია საბჭოთა ისტორიის გააზრება აღნიშნულ არქივებში დოკუმენტების დეტალური შესწავლისა და ანალიზის გარეშე. უნდა აღინიშნოს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივისადმი არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ არქივში არ არის დახარისხებული დოკუმენტები თანამედროვე კატალოგიზაციის სისტემით და დღეის მდგომაროებით შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის დოკუმენტების აღწერილობა საკმაოდ ზოგადი შინაარსისაა, ართულებს არქივში დაინტერესებული პირების მიერ დოკუმენტებთან წვდომას და მუშაობას.		
მთავარი მიზანი		ყოფილი უშიშროების არქივში დაცული დოკუმენტების ხელმისაწვდომობის გაზრდა		
OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება		გაუმჯობესებული საჯარო მომსახურება. საჯარო რესურსების უკეთესი მართვა		
შესაბამისობა OGP პრინციპებთან		გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა
		✓	✓	✓
ვალდებულების განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:
ყოფილი უშიშროების არქივში დაცული დოკუმენტების ელექტრონული კატალოგის დამუშავება			2014	2015
კატალოგის გამოქვეყნება არქივის გვერდზე			2014	2015

ინდიკატორი	**1. შემუშავდა უშიშროების არქივში დაცული დოკუმენტების ელექტრონული კატალოგი** **2. ელექტრონული კატალოგი გამოქვეყნდა არქივის ვებ-გვერდზე**
რისკები და ვარაუდები	ვერ მოხდეს დეტალური კატალოგის გაკეთება და კატალოგი ნაკლებად შინაარსიანი გამოვიდეს